ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ხათუნა გრიგალაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ია გაბედავა – კოლეგიის წევრი

სანდრო ჯორბენაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 19.03.2013

საჩივრის რეგისტრაციის №025/13

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ ლ. ბ-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ბ-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2013 წლის 19 მარტს ნ. ბ-მ საჩივრით მომართა ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ლ. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ლ. ბ-ს იურიდიული კონსულტაციისათვის მიმართა 2011 წლის ივნისში. ადვოკატს საჩივრის ავტორისა და მისი ოჯახის წევრების ინტერესები უნდა წარმოედგინა სასამართლოში სამოქალაქო დავაზე. ადვოკატმა ურთიერთობის დასაწყისში მომსახურების ხელშეკრულება არ გააფორმა, ხოლო მოგვიანებით საადვოკატო მომსახურების საზღაურად 1000 აშშ დოლარი მოითხოვა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, დავის საგანს წარმოადგენდა საცხოვრებელი სადგომი, რომლის საბაზრო ღირებულების 75% საჩივრის ავტორის ოჯახს ეკუთვნოდა. ადვოკატმა გარანტია მისცა საჩივრის ავტორს, რომ საცხოვრებელი სახლის საბაზრო ღირებულების 90%-ს მიაღებინებდა. საჩივრის ავტორმა შემდგომში გაიგო, რომ 90%-ის მიღება მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში იყო შესაძლებელი, რაც არ გააჩნდათ. ადვოკატმა მას განუმარტა, რომ სხვა გზითაც შეიძლებოდა საქმის მათ სასარგებლოდ გადაწყვეტა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2012 წლის დეკემბრის ბოლოს საქალაქო სასამართლოდან მიიღეს ცნობა იმის თაობაზე, რომ სახლის მესაკუთრე ითხოვდა დაკავებული საცხოვრებელი სადგომის ღირებულების 75%-ის სანაცვლოდ დაკავებულ სადგომზე მფლობელობის შეწყვეტას. ადვოკატ ლ. ბ-ს მათი სახელით 10 დღის ვადაში სასამართლოში უნდა შეეტანა შესაგებელი, რაც ადვოკატის თქმით შესრულდა. საჩივრის ავტორმა შესაგებლის ასლი სთხოვა, თუმცა ადვოკატმა შესაგებლის შინაარსი არ გააცნო. ადვოკატი საჩივრის ავტორს შეჰპირდა, რომ 2-3 დღეში გააცნობდა შესაგებელს, მაგრამ ასე არ მოიქცა. აღნიშნულის საფუძველზე საჩივრის ავტორს გაუჩნდა ეჭვი, რომ ადვოკატი რაღაცას უმალავდა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ლ. ბ. ტელეფონით დაუკავშირდა მას და ოფისში მისვლა სთხოვა. ადვოკატმა შეხვედრისას კლიენტს წარუდგინა ნასყიდობის ყალბი ხელშეკრულება, რომელიც საჩივრის ავტორს მისთვის არ გადაუცია და არ ფლობდა ინფორმაციას მისი წარმომავლობის შესახებ, რაზედაც ადვოკატს კონკრეტული პასუხი არ გაუცია. ადვოკატი ლ. ბ. დაინტერესდა თუ რა აზრის იყვნენ საჩივრის ავტორი და ოჯახის წევრები, რომ ხსენებული დოკუმენტი სასამართლო პროცესზე წარდგენილიყო. საჩივრის ავტორმა აღნიშნულზე უარი განუცხადა, დოკუმენტის განადგურება სთხოვა და დარწმუნდა, რომ ადვოკატი მათი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. ამის შემდეგ საჩივრის ავტორმა და მისმა ოჯახმა გადაწყვიტეს ახალი ადვოკატის აყვანა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისთვის შემდგომში გახდა ცნობილი, რომ ადვოკატს გარდა შესაგებლისა სასამართლოში ასევე შეუტანია შეგებებული სარჩელი, საჩივრის ავტორისა და მისი ოჯახის წევრების სახელითა და ყალბი ხელმოწერებით. ადვოკატი ყალბი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ითხოვდა საცხოვრებელი სადგომის ღირებულების 90%-ის ნაცვლად 10%-ის გადახდას და სანაცვლოდ საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში გადაცემას. აღნიშნულის თაობაზე საჩივრის ავტორმა არ იცოდა.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ლ. ბ-მა მინდობილობის გაუქმების შემდეგ, საქალაქო სასამართლოში მოითხოვა საჩივრის ავტორის დოკუმენტები, რაზედაც უარი მიიღო. ამის შემდეგ საჩივრის ავტორს სთხოვა სასამართლოში წასვლა დოკუმენტების გამოთხოვის მიზნით.

1.8 საჩივრის ავტორმა 2013 წლის 16 აპრილს ეთიკის კომისიაში დამატებით წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომელშიც აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს ხელმოწერით ადასტურებენ ნ. ბ., ც. ბ., გ. ბ. აღნიშნული ახსნა-განმარტების მიხედვით, ადვოკატს თავად უნდა ეცადა მიეღო ინფორმაცია საქმის მსვლელობის შესახებ. საჩივრის ავტორისათვის გაუგებარია, თუ რატომ ვერ ახერხებდა ადვოკატი მასთან დაკავშრებას, რადგან მას ტელეფონი ყოველთვის ჩართული აქვს.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ეუბნებოდა, რომ მისი საქმის მასალები სასამართლოში იყო, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულების ასლი სახლმმართველობის ძველ შენობაში იპოვა, რის შესახებაც საჩივრის ავტორს არ აცნობა. საჩივრის ავტორის თქმით, გაუგებარია როგორ მოიძა ეს დოკუმენტი, როდესაც მასზე ადრე მისი ოჯახი ეძებდა და ასეც რომ ყოფილიყო დოკუმენტის ასლით ვერაფერს დაამტკიცებდა.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის არ ეთანხმება ადვოკატის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ შესაგებელს ხელი მან და ადვოკატმა ერთად მოაწერეს. საჩივრის ავტორის განმარტებით, შესაგებელს მისი და ოჯახის წევრების ნაცვლად სხვებმა მოაწერეს ხელი, ადვოკატმა მას არ გააცნო შესაგებლის შინაარსი და ამიტომაც ითხოვდა შესაგებლის ასლი გადაეცა მისთვის ადვოკატს. ადვოკატთან მინდობილობის გაფორმების მიუხედავად, ის, როგორც რწმუნებული ვალდებული იყო მარწმუნებელთათვის გაეცნო შესაგებელი.

1.11 2014 წლის 16 აპრილს გამართულ განხილვის სხდომაზე საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ შეთანხმების მიხედვით, ლ. ბ-მა შეადგინა სარჩელი 2011 წელს, ვინაიდან მაშინდელი მდგომარეობით 2012 წელს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის წესის შესახებ ახალი კანონი შედიოდა ძალაში და აღნიშნული დავა მანამდე უნდა გადაწყვეტილიყო. ადვოკატმა სარჩელის შინაარსი არ გააცნო საჩივრის ავტორს და საქმის დეტალებიც შეცვალა – ბინის შესყიდვის თარიღი, ოქროს მონეტების გადახდის ფაქტთან დაკავშირებით მიუთითა, რომ ფული იყო გადახდილი, ასევე მისი და მისი ოჯახის წევრების ნაცვლად მოაწერა ხელი.

1.12 საჩივრის ავტორის განმარტებით, რწმუნებულების გაუქმების მეორე დღეს ადვოკატმა მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მის მიერ, როგორც რწმუნებულის მიერ შეტანილი დოკუმენტაციის გამოთხოვა, თუმცა სასამართლომ მას უარი განუცხადა დოკუმენტების დაბრუნებაზე, ვინაიდან საჩივრის ავტორმა წინასწარ აცნობა სასამართლოს რწმუნებულების გაუქმების თაობაზე.

1.13 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატს მისთვის დოკუმენტის წარმომავლობის თაობაზე ინფორმაცია არ მოუწოდებია, მხოლოდ ის აინტერესებდა, თანახმა იყო თუ არა ეს დოკუმენტი სასამართლოში წარედგინა, ხოლო დოკუმენტის პოვნის ადგილისა და თარიღის შესახებ მას კონკრეტული პასუხი არ მიუღია. რაც შეეხება, ახალი ადვოკატის მიერ საქმის წარმოების გაგრძელებას, საჩივრის ავტორმა ახალი კერძო ექსპერტიზა ჩაატარა და ახალი დასკვნის საფუძველზე მოითხოვა ბინის ფასის გაზრდასთან დაკავშირებით მისი მოთხოვნა დაკმაყოფილებულიყო. თავდაპირველი სარჩელის მიხედვით ბინის ღირებულება მთლიანად გამოდიოდა 24 000 აშშ დოლარი, რომლის 90% საჩივრის ავტორის ოჯახს ეკუთვნოდა, ხოლო შემდგომში სასამართლოზე მოითხოვა ბინის ღირებულების გაზრდა, ვინაიდან კერძო ექსპერტმა დაადგინა, რომ ბინის ღირებულების 75 % შეფასებული იყო 35 000 აშშ დოლარად. საბოლოოდ მხარეები 30 000 აშშ დოლარზე შეთანხმდნენ.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ლ. ბ-მა 2013 წლის 01 აპრილს ეთიკის კომისიაში წერილობით წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, 2011 წელს ნ. ბ-ემ მიმართა სამოქალაქო საქმეზე სარჩელის შესადგენად. საჩივრის ავტორი, როგორც ბინის მობინადრე დაობდა

მესაკუთრესთან. დავის საგანს წარმოადგენდა ბინის ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ საჩივრის ავტორის ბინის მესაკუთრედ ცნობა. ადვოკატმა საჩივრის ავტორს გაუწია კონსულტაცია, დაეხმარა საქმისათვის ყველა საჭირო დოკუმენტის მოძიებაში, სარჩელი შეუდგინა და სასამართლოში წარადგინა. საჩივრის ავტორს ურჩია დედის რწმუნებულებით თავად გამოსულიყო სასამართლო პროცესზე და საჭიროების შემთხვევაში დახმარებაც აღუთქვა.

2.2 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორსა და მის ოჯახს უანგაროდ დაეხმარა, რისთვისაც ნ. ბ-ემ მადლობა გადაუხადა და დაჰპირდა, რომ შეატყობინებდა როგორ განვითარდებოდა საქმე.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ორი წლის მანძილზე არ შეხმიანებია მას საჩივრის ავტორი და არც თავისი საქმის მასალების დედნების წასაღებად მიუკითხავს მისთვის.

2.4 ადვოკატის განმარტებით, 2008-2009 წლებში აწარმოებდა სამოქალაქო საქმეს ე. და ი. კ-ეების სასარგებლოდ. რწმუნებულება ძალაში იყო 2012 წლამდე. 2011 წლის ბოლოს მას დაუკავშირდა თავისი კლიენტი და სთხოვა მისთვის და მისი ძმისთვის საინფორმაციო ბარათების გაკეთება. საჭირო დოკუმენტების მოსაპოვებლად მ.-ს ქუჩაზე მდებარე სახლმმართველობაში მივიდა, სადაც შემორჩენილი ჰქონდათ ძველი ფორმა, რომელშიც დაწვრილებით იყო აღწერილი ჩაწერის საფუძვლები, საპასპორტო მონაცემები და სხვა. ადვოკატის განმარტებით, მან მასალების ძებნისას შემთხვევით ნახა ა. მ-ას სააღრიცხო ბარათი, სასამართლოს ძველი გადაწყვეტილებები, აქვე იყო გამიჯვნის ძველი ხელშეკრულებები, ნ. კ-ის სააღრიცხო ბარათი, რომელსაც თანდართული ჰქონდა საჩივრის ავტორის მიერ ნახსენები ე.წ. ,,ყალბი“ ხელწერილის ასლი. ადვოკატმა აღნიშნული დოკუმენტები წამოიღო. ხელწერილის ასლი თავის თანამშრომელს გადასცა, რომელმაც ის საჩივრის ავტორის საქმის მასალებში ჩადო. ადვოკატის განცხადებით, ნ. ბ-ესთან დაკავშირებას ცდილობდა, მაგრამ ის ტელეფონზე არ პასუხობდა.

2.5 ადვოკატის განცხადებით, 2013 წელს საჩივრის ავტორმა სამსახურში მისი არყოფნის დროს მიაკითხა მას, ოთხი ცალი გზავნილი მიიტანა და განაცხადა, რომ სახლის პატრონმა სარჩელი შეიტანა მათ წინააღმდეგ. შესაგებლის შეტანის ვადა 08 იანვრამდე ჰქონდათ. ადვოკატმა საჩივრის ავტორის გარეშე შეადგინა შესაგებელი და მაგიდაზე დატოვა, რათა ნ. ბ-ეს წაეკითხა და ხელი მოეწერა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, სამსახურში იმ დროს მივიდა, როდესაც ნ. ბ. შესაგებელს კითხულობდა, რომელზედაც ოჯახის ოთხივე წევრს უნდა მოეწერა ხელი, ვინაიდან საკმარისი დრო არ რჩებოდა და ადვოკატი სასამართლოში მიდიოდა, საჩივრის ავტორმა ხელი მოაწერა თავისი დისა და დედის ნაცვლად, ხოლო ადვოკატმა საჩივრის ავტორის მამის ნაცვლად მოაწერა ხელი, ვინაიდან საჩივრის ავტორმა განუმარტა, რომ იმ დღესვე გაუკეთებდნენ რწმუნებულებებს.

2.7 ადვოკატის განმარტებით, რწმუნებულების გაფორმებამდე თავისთან დაიბარა ნ. ბ-ის მშობლები და დააზუსტა როდის შეიძინეს ბინა, რატომ ცხოვრობდნენ პირველ სართულზე და ა.შ. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორის დედას განუმარტა, რომ იპოვა დოკუმენტი, რომლის დედნის პოვნის შემთხვევაში შეგებებული სარჩელით შეძლებდნენ ბინის ღირებულების 90%-ის მოთხოვნას. ასევე განუმარტა, რომ ბინის ღირებულების 75%-ის მისაღებად ადვოკატის აყვანა არ სჭირდებოდათ, ვინაიდან

მესაკუთრე თანახმა იყო მის გადახდაზე. საჩივრის ავტორთან მომსახურების თანხის თაობაზე არ უსაუბრია.

2.8 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორს 4-5 ჯერ დაურეკა. ადვოკატი პარალელურად ეძებდა ხელწერილის დედანს, ტექ-ბიუროს არქივიდან გამოითხოვა ძველი სამემკვიდრეო მოწმობები, ნასყიდობის ხელშეკრულებები, ქალაქის არქივიდან საფინანსო ცნობა, იმედოვნებდა, რომ დედნის პოვნას თუ ვერ შეძლებდა, ოფიციალური დაწესებულებიდან ამოღებულ თუნდაც ასლს რაიმე მტკიცებულებითი ძალა ექნებოდა.

2.9 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორმა სთხოვა მისთვის გადაეცა შესაგებლის შეტანის ბარათი, რომელიც ადვოკატს იმ დროს არ გააჩნდა. საჩივრის ავტორი ნაწყენი იყო თავის მშობლებზე, რადგან მისი ნების საწინააღმდეგოდ სხვა ადვოკატი ნახეს და სახლის პატრონის ჩამოყვანა სურდათ. საჩივრის ავტორს დამატებით ექსპერტიზის ჩატარება სურდა. ადვოკატმა თავისი კოლეგების თანდასწრებით განუმარტა საჩივრის ავტორს, რომ დამატებითი ექსპერტიზა საჭირო არ იყო, ვინაიდან ექსპერტიზის დასკვნა უკვე არსებობდა. სახლის მესაკუთრის ჩამოყვანასთან დაკავშირებით აუხსნა, რომ მესაკუთრეს გაცემული ჰქონდა მინდობილობა და მას ჩამოსვლას ვერ დაავალებდნენ. მან საჩივრის ავტორს აუხსნა, რომ სასამართლოს მიერ ხელწერილის გაზიარების შემთხვევაში დასჭირდებოდათ ადვოკატი, ხოლო 75%-ს ისედაც მიიღებდა. ადვოკატის განმარტებით, თავის კოლეგების თანდასწრებით იხუმრა: „რა გახდა ეს ქ.-ი, გადაუხადოს 90%, რომ ბინა იყიდონ, ვიღაც მილიონერი ებრაელი ყოფილა მეთქი.“ ადვოკატის განმარტებით, ამ ნათქვამზე საჩივრის ავტორი გაბრაზდა და აგრესიული ტონით უპასუხა: „სხვის ჯიბეში ხელებს არ ვაფათურებ, ჩემი საქმე არ არის ვის რა აქვს, მეტის ღირსები არიან ჩემი მშობლებიო“.

2.10 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი მასთან მეორე დღეს მივიდა და უთხრა, რომ ის ხელწერილი მათ სახლში არ ჰქონდათ და ზედმეტი არავისგან არაფერი უნდოდათ და ადვოკატს ხელწერილისა და დოკუმენტების მისთვის გადაცემა მოითხოვა. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი ნერვიულობდა, კანკალებდა, ბიბლიიდან გარკვეულ ეპიზოდებს ახსენებდა... ადვოკატმა ხელწერილის შედარებით კარგი ასლი დახია და ბიბლიიდან შესაბამისი ეპიზოდი გაახსენა.

2.11 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორს უთხრა, რომ მის შედგენილ შეგებებულ სარჩელს გამოიხმობდა. ადვოკატის განმარტებით, მან ორ-სამ დღეში შეგებებული სარჩელის გამოხმობის შესახებ განცხადება დაწერა და მის ასაღებად მისულმა გაიგო, რომ საჩივრის ავტორმა და მისმა ოჯახის წევრებმა მასთან გაფორმებული რწმუნებულებები გააუქმეს. ადვოკატი ლ. ბ. საჩივრის ავტორს დაუკავშირდა და სასამართლოში შეხვედრა სთხოვა. მან მოატყუა და არ შეხვდა. შემდგომში კი გაირკვა, რომ რამდენიმე ადვოკატი გამოიცვალა. ერთ-ერთი ადვოკატი მასთან მოვიდა, რომელსაც განუმარტა, რომ ნაპოვნი ჩანაწერი არ იყო დედანი და დოკუმენტები დაუბრუნა.

2.12 2014 წლის 16 აპრილს გამართულ განხილვის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ 2011 წელს, როდესაც საჩივრის ავტორმა მას მიმართა სარჩელის შედგენისათვის, ფაქტიურად გამზადებული საბუთები მიიტანა - სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნა, მშობლების საინფორმაციო ბარათები და ა.შ. ვინაიდან ნ. ბ-ეს არ გააჩნდა ხელწერილი, ადვოკატმა აუხსნა, რომ უნდა დაეყენებინა ბინის ღირებულების 25 %-ის გადახდის სანაცვლოდ

75%-ის მოთხოვნა. სარჩელი შეადგინა და სასამართლოში ჩააბარა. ადვოკატის წარმოებაში მყოფ სხვა საქმესთან დაკავშირებით სახლმმართველობაში ფორმა ერთის მოძებნის დროს, იგი წააწყდა ძველ ხელწერილს და მისი ასლი გააკეთა, რაც ნ. ბ-ეს საქმის წარმოებისას დაეხმარებოდა, თუმცა მას ვერ უკავშირდებოდა. შესაგებელი დაწერა, ვინაიდან ვადა გადიოდა. ხელწერილის ასლის პოვნის შემდეგ, დოკუმენტის დედნის პოვნის მიზნით ადვოკატმა ზაქარიაძის არქივიდან გამოითხოვა დოკუმენტაცია და მთელი არქივი ამოიღო. ამ პერიოდში ადვოკატმა დაიბარა ნ. ბ-ის მშობლები, მხოლოდ დედამისი მოვიდა, რომელსაც აუხსენა, რომ თუკი აღმოჩენილ დოკუმენტს დედნის ძალა მიეცემოდა, ისინი ბინის ღირებულების 90%-ს მიიღებდნენ.

2.13 ადვოკატის განმარტებით, მისი ერთადერთ შეცდომას ის გარემოება წარმოადგენს, რომ შესაგებლის დაწერისას, სანამ საჩივრის ავტორის მშობლები მინდობილობას აფორმებდნენ, ვინაიდან ისინი ვერ ახერხებდნენ ხელმოწერების გაკეთებას, ნ-მა ხელი მოაწერა დედისა და დის მაგივრად ხელი, ხოლო მან - მამის მაგივრად, ვინაიდან სატელეფონო საუბრიდან საჩივრის ავტორის მამისგან თანხმობა მიიღეს. შეგებებულ სარჩელზე ადვოკატს უკვე ჰქონდა მინდობილობა და როგორც წარმომადგენელმა ისე მოაწერა ხელი.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიცია:

3.1 2013 წლის 04 დეკემბერს მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლ. ბ-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიჩნია, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა ლ. ბ-მა საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას გამოიყენა არაკანონიერი საშუალება და კლიენტებთან შეუთანხმებლად წარადგინა სასამართლოში შეგებებული სარჩელი, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატ ლ. ბ-ის მიერ იქნა შედგენილი შესაგებელი, რომელიც საქმეში წარმოდგენილია 2013 წლის 08 იანვრის თარიღით და რომელზეც ნ. ბ-ის მამის, გ. ბ-ის ნაცვლად მან მოაწერა ხელი, რასაც არ უარყოფს თავად ადვოკატი ლ. ბ. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ სხვა პირების მაგივრადაც ადვოკატმა მოაწერა ხელი შესაგებელს,

აღსანიშნავია, რომ ამ გარემოებას საჩივრის ავტორი ამყარებს მხოლოდ თავის ახსნა-განმარტებაზე, რასაც არ ეთანხმება ადვოკატი ლ. ბ, ხოლო საქმეში სხვა სახის მტკიცებულება ამ გარემოების დასადასტურებლად წარმოდგენილი არ ყოფილა. აღნიშნულის გამო ამ გარემოებას კომისია ვერ მიიჩნევს დადგენილად, რადგან არ არსებობს შესაგებელზე შესრულებული ხელმოწერების დამადასტურებელი ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დაადგენდა ადვოკატ ლ. ბ-ის მიერ საჩივრის ავტორის, მისი დედისა და დის მაგივრად შესაგებელზე ხელმოწერის შესრულებას, რაც გამორიცხავს ადვოკატის მიერ შესაგებელზე სხვა პირთა ნებართვის გარეშე ხელმოწერების შესრულებას.

4.1.2 კომისია ასევე ვერ მიიჩნევს დადგენილად იმ ფაქტს, რომ შესაგებლის შინაარსი არ გააცნო საჩივრის ავტორსა და მისი ოჯახის წევრებს ადვოკატმა, რადგან საჩივრის ავტორის საპირისპიროდ ადვოკატი აცხადებს, რომ ყველა მარწმუნებლისათვის ცნობილი იყო შესაგებლის შინაარსი. კომისია აღნიშნავს, რომ ეთიკის კომისიაში საქმეთა განხილვა მიმდინარეობს მხარეთა შეჯიბრობითობის პრინციპზე დაყრდნობით, რის შესაბამისადაც საჩივრის ავტორი ვალდებულია გადმოსცეს ახსნა-განმარტება და მასში გადმოცემულ გარემოებებზე წარადგინოს მტკიცებულებები, ასევე ადვოკატი ვალდებულია მის მიერ მითითებული გარემოებები დაადასტუროს გარკვეული სახის მტკიცებულებებით. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ ადვოკატმა არ გააცნო შესაგებლის შინაარსი, მაშინ როდესაც მასზე ოთხი პირის ხელმოწერებია შესრულებული, საიდანაც საჩივრის ავტორის განმარტებით შესრულებულია ადვოკატის მიერ, რაც დადგენილი არ გახლავთ სათანადო მტკიცებულებით - ექსპერტიზის დასკვნით, ხოლო ადვოკატი აცხადებს ამ გარემოების საპირისპიროდ, რომ მან მხოლოდ ნ. ბ-ის მამის - გ. ბ-ის მიერ შეასრულა ხელმოწერა, რაც გამორიცხავს სამი პირის მიერ მისი ხელმოწერის შესრულებას, აქედან გამომდინარე, თუკი სამი ხელმოწერა შეასრულა თავად ნ. ბ-ემ, ეს ფაქტი ცალსახად მოწმობს, რომ შესაგებლის შინაარსიც ცნობილი იყო მისთვის და მისი ოჯახის წევრებისათვის, თავად გ. ბ-ისაგან, მითუმეტეს იმ ვითარებაში, როდესაც ოჯახის წევრები თანამონაწილეები იყვნენ მოცემული საქმის წარმოებისას სასამართლოში და წარმოადგენდნენ მოსარჩელეებს და ადვოკატთან საურთიერთოდ ჰყავდათ ოჯახის ერთ-ერთი წევრი. ასევე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საჩივრის ავტორი არ უარყოფს და აცხადებს, რომ შესაგებელი შედგენილი იქნა ადვოკატ ლ. ბ-ის მიერ, თუმცა მარწმუნებლებს ის სახლში არ ეახლა და არ გადასცა შესაგებლის ასლი, რაც კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატის საწინააღმდეგოდ ვერ იქნება გამოყენებული, ვინაიდან ადვოკატს არც კანონმდებლობით და არც ეთიკის ნორმებიდან გამომდინარე არ ევალება მარწმუნებელთა სახლებში სირული და ასეთს კომისია ვერ მიიჩნევს დარღვევად ადვოკატის მხრიდან, ხოლო ის ფაქტი, რომ შესაგებელზე გ. ბ-ის გარდა სამი ხელმოწერა შესრულებულია ნ. ბ-ის მხრიდან, კომისიას დასაბუთებულ აზრს უქმნის იმ გარემოებასთან მიმართებაში, რომ შესაგებლის შინაარსი ნ. ბ-ისათვის და მისი ოჯახის წევრებისათვის ცნობილი იყო.

4.1.3 ეთიკის კომისიას დადგენილად არ მიაჩნია, რომ ადვოკატი ლ. ბ. მოქმედებდა რწმუნებულთა ინტერესების საწინააღმდეგოდ და მათი უფლებები შელახა, რადგან მის

სახელზე რწმუნებულების მიერ - თავად საჩივრის ავტორის ნ. ბ-ის და მისი ოჯახის წევრების გ., ც. და ნ. ბ-ეების მიერ 2013 წლის 09 იანვარს გაცემული და ნოტარიუს ე. შ-ის მიერ დამოწმებული რწმუნებულებათა საფუძველზე ადვოკატი უფლებამოსილი იყო შეედგინა შეგებებული სარჩელი და მასზე ხელმოწერა დაეფიქსირებინა თავისი სახელით, როგორც წარმომაგდენლის მიერ. ოთხივე პირის მიერ გაცემული მინდობილობების ტექსტების შინაარსი იდენტურია და ყველა მათგანში მიეთითება სარჩელის წარდგენის უფლება მარწმუნებელთა სახელით. შესაბამისად, კომისისას დადგენილად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ადვოკატს გააჩნდა შეგებებული სარჩელის შედგენის უფლებამოსილება, საჩივრის ავტორისა და მისი ოჯახის წევრების მიერ გაცემული მინდობილობების საფუძველზე. აქვე დავსძენთ, რომ მინდობილობების გაცემა დროში წინ უსწრებს შეგებებული სარჩელის წარდგენას, კერძოდ მინდობილობები გაცემულია 2013 წლის 09 იანვარს, ხოლო ადვოკატის მიერ შეგებებული სარჩელი წარდგენილია 2013 წლის 25 იანვარს. კომისიას მიაჩნია, რომ მარწმუნებლები ურთიერთობდნენ ადვოკატთან და მათთვის ცნობილი იყო შეგებებული სარჩელის წანამძღვრები, ვინაიდან მათ ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვეს ადვოკატი შეგებებული სარჩელის შეტანამდე ორი კვირით ადრე, როდესაც ნოტარიუსთან გააფორმეს რწმუნებულებები და ასეთი დოკუმენტები გადასცეს ადვოკატს. შესაბამისად საჩივრის ავტორის პოზიცია, რომ ადვოკატმა საქმის კურსში არ ჩააყენა შეგებებული სარჩელის შეტანის გამო, ვერ იქნება გაზიარებული. ისეთ შემთხვევაში, თუ ადვოკატს ასეთი უფლებამოსილება არ გადასცეს მარწმუნებლებმა და მას მიანდეს საქმის წარმოება მხოლოდ მოპასუხეთა საპროცესო უფლებამოსილების ფარგლებში, მაშასადამე დავალების ხელშეკრულებაშიც ანუ მარწმუნებელთა და მათ შორის საჩივრის ავტორის მიერ გაცემული რწმუნებულებაც არ უნდა მოიცავდეს სარჩელის აღძვრისა და მისი სასამართლოში წარდგენის საშუალებას, ხოლო საქმეში წარმოდგენილი რწმუნებულებების შემთხვევაში, როდესაც მარწმუნებლებმა გადასცეს რწმუნებულება ლ. ბ-ს, რათა მას ეწარმოებინა საჩივრის ავტორისა და მისი ოჯახის წევრების სამოქალაქო საქმე, თანაც ადვოკატის რწმუნებულებით აღჭურვა მოხდა სარჩელის წარდგენის უფლებამოისლებით, კომისიას მიაჩნია, რომ არ არსებობს ადვოკატის მიმართ საჩივრის ავტორის დასაბუთებული პრეტენზია მარწმუნებელთათვის ინფორმირებულობის თვალსაზრისით, ვინაიდან რწმუნებულების გადაცემის დროს როდესაც რწმუნებულები გადასცემდნენ ადვოკატს დავალების ხელშკრულებას, ბუნებრივია დავალების შინაარსი მათთვის ცნობილი იყო, რამაც წერილობითი ასახვა ჰპოვა შეგებებული სარჩელის შინაარსში. საჩივრის ავტორს იმის დასტურად, რომ შეგებებული სარჩელის შინაარში მათთვის არ იყო ცნობილი და ასეთი სახის გარემოებაზე რაიმე სახის მტკიცებულება წარმოდგენილი არ აქვს, ხოლო ისეთ ვითარებაში, როდესაც ამ გარემოებას არ ადასტურებს ადვოკატი, კომისია ასეთ ფაქტს დადგენილად ვერ მიიჩნევს.

4.1.4 რაც შეეხება მინდობილობების გაუქმების შემდგომ შეგებებული სარჩელის უკან გამოთხოვის საშუალებას, მარწმუნებელთა ნების შესაბამისად, ადვოკატს არ მიეცა შეგებებული სარჩელის გამოხმობის საშუალება, ვინაიდან მინდობილობები იქნა გაუქმებული, რასაც არ უარყოფს საჩივრის ავტორიც. მინდობილობების გაუქმების

გამო, ბუნებრივია, ადვოკატი ფიზიკურად ვეღარ გამოიხმობდა სარჩელსა და თანდართულ მასალებს და შესაბამისად ამ გარემოებისა ვეღარ მოახდენდა შეგებებული სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების მარწმუნებლთათვის გადაცემას.

4.1.5 ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ საჩივრის ავტორის მითითება ადვოკატის მიერ ხელწერილის გაყალბების ფაქტთან დაკავშირებით, რომლითაც მისი წინაპრების მიერ შეძენილი იქნა სადაო ბინის ფართი, არაფრით არ არის გამყარებული და ის წარმოადგენს, მხოლოდ მის მოსაზრებას, რასაც ვერ დაყრდნობა კომისია და ამ ფაქტს მხოლოდ საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტების საფუძველზე დადგენილად ვერ მიიჩნევს. მეორეს მხრივ კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატ ლ. ბ-ის ქმედება მარწმუნებელთა უფლებების დასაცავად, სხვა საქმის მსვლელობის დროს მოპოვებული დოკუმენტის ასლის თაობაზე, ვერ განიხილება ადვოკატის მხრიდან ჩადენილ არაეთიკურ და არაკანონიერ საქციელად და მის მიმართ ამ ეპიზოდში დადგენილი არ არის მარწმუნებელთა მიმართ არა ეთიკური ქცევის ჩადენის ფაქტი. მხოლოდ საჩივრის ავტორის მითითება, რომ ადვოკატმა თავად შექმნა ხელწერილის დედანი, რომლის ასლიც გააკეთა და შემდგომ ამისა ეს ასლიც დახია, ვერ იქნება გაზიარებული, რადგან მხოლოდ საჩივრის ავტორის ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტება ასეთ საკითხზე კომისიას საკმარის მტკიცებულებად არ მიაჩნია. რაც შეეხება ადვოკატ ლ. ბ-ის განმარტებას იმის თაობაზე, რომ მან სხვა საქმის წარმოების პროცესში მიაგნო საჩივრის ავტორისა და მისი ოჯახის წევრების წინაპრის ნ. კ-ის მიერ შედგენილი ხელწერილის ასლს, რომლის გამოყენებისა და სასამართლოში წარდგენის შემთხვევაშიც ადვოკატის მარწმუნებლები და მოცემულ საქმეზე საჩივრის ავტორი და მისი ოჯახის წევრები, მიიღებდნენ უფრო მეტი ოდენობის სარგებელს, თუკი სასამართლო დოკუმენტის დედანს მიიჩნევდა ისეთ წერილობით მტკიცებულებად, რომლის დედნის წარდგენის საშუალება საქმეზე შეუძლებელი იქნებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის საფუძველზე, მიაჩნია, რომ ეს გარემოება ვერ იქნება განხილული მარწმუნებელთა ინეტერესების საწინააღმდეგოდ ადვოკატის ქმედებად და დოკუმენტის გაყალბებად. მოცემულ საქმეში წარმოდგენილი არ გახლავთ გამამტყუნებელი განაჩენი ადვოკატ ლ. ბ-ის მიმართ, რომლითაც დადგენილი იქნებოდა მის მიერ ნ. კ-ის სახელით შესრულებული ყალბი ხელწერილის გამოყენების ფაქტი, ამასთანავე ადვოკატის მიერ ასეთი დოკუმენტის შედგენის სიყალბე არ დადგენილა მის მიმართ ასევე გამამტყუნებელი განაჩენით, რის შესაბამისადაც ადვოკატის მიერ დოკუმენტის გაყალბების თაობაზე საჩივრის ავტორის ახნა-განმარტება არ არის საკმარისი მტკიცებულება ეთიკის კომისიისათვის, რათა იმსჯელოს ადვოკატის მიმართ დოკუმენტის გაყალბების თაობაზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ საჩივრის ავტორის მითითებით ადვოკატ ლ. ბ-ის მიერ ხელწერილის ასლის პოვნითა და სასამართლოში წარდგენით დაარღვია მათ მიმართ ეთიკის ნორმები, იმის გამო, რომ დოკუმენტის ასლით სასამართლოში მაინც ვერაფერს დაადგენდა და საჩივრის ავტორი და მისი ოჯახის წევრები მაინც ვერ მიიღებდნენ სადაო ქონების 90%-ს, ვერ იქნება გაზიარებული სწორედ დასახელებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის საფუძველზე და მხოლოდ საჩივრის ავტორის მითითების თანახმად კომისიას არ მიაჩნია ადვოკატის მხრიდან ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტი, რადგან ყოველ

კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტის დედნის წარდგენა შეუძლებელია ობიექტური მიზეზების გამო, სასამართლოს შეუძლია დოკუმენტის ასლს მოანიჭოს დედნის ძალა და ის სხვა მტკიცებულებებთან ერთად შეაფასოს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას, რაც გამორიცხავს საჩივრის ავტორის ვარაუდებს სასამართლოში ასლის გამოყენებასთან დაკავშირებით.

4.1.6 კომისია აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის პრეტენზიები ჰონორარის გადახდასთან დაკავშირებით ვერ იქნება კომისიის განხილვის საგანი, რადგან სცდება კომისიის კომპეტენციას და ის წარმოადგენს სასამართლოს განხილვის საგანს. ადვოკატს საჩივრის ავტორისა და მისი ოჯახის წევრების ინტერესები უნდა წარმოედგინა სასამართლოში სამოქალაქო დავაზე, რა დროსაც ბუნებრივია თავად განსაზღვრავდა ჰონორარის ოდენობას, თუმცა საქმეში არ მოიპოვება და მხარეებმაც ვერ წარმოადგინეს წერილობითი ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურეობის თაობაზე, რაც მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის მიმართ თანხების დაკისრების თაობაზე პრეტენზიებს გამორიცხავს, ამასთანავე ეს საკითხი სასამართლო განხილვის სფეროა.

5 შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარის ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. ბ-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6 სამართლებრივი შეფასება:

6.1. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა ლ. ბ-მა დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“.

6.2. ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა განახორციელოს კანონით განსაზღვრული საშუალებების გამოყენებით და მიზნად არ უნდა დაისახოს კლიენტისათვის სასურველი შედეგის მიღწევა არაკანონიერი საშულებების გამოყენების გზით.

6.3. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატ ლ. ბ-ს 2013 წლის 08 იანვრის შესაგებელზე გ. ბ-ის სახელით შესრულებული აქვს იმ დროს, როდესაც მასზე გაცემული არ იყო ამ პირის მიერ მინდობილობა და ასეთი მინდობილობის არსებობის შემთხვევაშიც ის ვალდებული იყო ხელმოწერა შეესრულებინა არა მარწმუნებლის

სახელით, არამედ თავისი სახელით, როგორც მისი რწმუნებული პირის მიერ შესრულებული ხელმოწერა, რის გამოც მიაჩნია, რომ ადვოკატ ლ. ბ-ის მხრიდან ადგილი აქვს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ადვოკატის მხრიდან მარწმუნებლის სახელით 2013 წლის 08 იანვრის შესაგებელზე ხელმოწერის შესრულების ფაქტი.

6.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №057/10 დაადგინა, რომ ,,კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები, თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს.“ ასევე ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №010/10 დაცვის კანონიერი საშულებების გამოყენებასთან დაკავშირებით განმარტა: ,,კლიენტის ინტერესებში ობიექტურად შედის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო წესების დაცვით, კლიენტის ინტერესების დაცვა ადვოკატმა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად“.

6.5 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე Brandstetter v Austria (განაცხადი №11170/84; 12876/87, 13468/87; 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება) განმარტა: „დაცვის უფლების განხორციელება ნებადართულია მხოლოდ კანონიერი ქმედებების ფარგლებში. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე–6 მუხლი არ უზრუნველყოფს პირის შეუზღუდავ უფლებას განახორციელოს ნებისმიერი სახის დაცვითი მოქმედებები და დაუშვებლად მიიჩნევს არაკანონიერი ქმედებები გამართლებული იქნეს ამ უფლების განხორციელების საფუძვლით. ის გარემოება, რომ პირი მოქმედებს თავისი ან თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, არ ამართლებს მას არაკანონიერი ქმედებების განხორციელების შემთხვევაში.“

6.6 ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ სხვა პირის ნაცვლად მათი სახელით ხელმოწერის შესრულება ადვოკატის მიერ გაუმართლებელია რწმუნებულების არსებობის შემთხვევაშიც. ეთიკის კომისიამ 2013 წლის 09 თებერვლის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №106/12 განმარტა, რომ ,,ხელმოწერა პირის იდენტიფიცირების საშუალებაა და მხოლოდ პირს აქვს თავისი სახელით ხელმოწერის უფლება. სხვისი სახელით ხელმოწერილმა დოკუმენტმა შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირები, რადგან ხელმოწერილი დოკუმენტი მესამე პირების მიერ აღიქმება, როგორც ხელმომწერის ნების გამოვლენა. შესაბამისად, ასეთი დოკუმენტის არასწორად გამოყენებით შეიძლება არასასურველი შედეგი დადგეს როგორც ხელმომწერი პირისათვის, ასევე იმ პირისათვის ვისი სახელითაც განხორციელდა ხელმოწერა.

6.7 კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატ ლ. ბ-ის მიერ შესაგებელზე კლიენტის ნაცვლად მისი სახელისა და გვარის დაფიქისრებით ხელმოწერისას და ასეთი შესაგებლის სასამართლოში წარდგენისას მარწმუნებელთა ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედების შემთხვევაშიც, სახეზეა ადვოკატის მიერ კანონსაწინააღმდეგო საშუალების გამოყენება, მიუხედავად იმისა ეს ქმედება ექცევა თუ არა კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო სფეროში. ადვოკატ ლ. ბ-ის მიერ განხორციელებული ქმედება, კლიენტთა ნაცვლად შესაგებელზე ხელმოწერა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, ეწინააღმდეგება ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე–6 მუხლის პირველი პუნქტის დეფინიციას.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით; 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, მე-20 მუხლით, 35-ე მუხლით, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №025/13 ადვოკატ ლ. ბ-ის /სიითი №/ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად ზემოქმედების ღონისძიების სახით განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. კერძო სარეკომენდაციო ბარათი ეგზავნება ადვოკატს, ხოლო ასლი ინახება საქმეში დალუქულ კონვერტში.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს.
4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების შესახებ არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ხათუნა გრიგალაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /სანდრო ჯორბენაძე/